1931წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბრელი



N 8

სახელგამი 1931 წ.

# ოქტომბრელი

ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი № 8

საქართველოს მ. კ. თ. ცენტრალური წიგნის და განათლების სახ. კომისარ. სოც. აღზრდ. მთავარ-მართველობის ჟურნალი მცირეწლოვან მკითხველთათვის

აგვისტო 1931

ამიერკავკასიის აფხაზეთის, № 8.


## შინაარსი


1. ილიჩის ელნათურა, — გადმოკეთებული ვლ. ჩ-ძის . . . . . . . 1
2. ნორჩი ლენინელი, — ლექსი ზ. ქუჩიშვილის . . . . . . . . . . 6
3. სექტემბრის პირველ რიცხვებში, — ცქვიტის . . . . . . . . . 7
4. თედოს ხუთწლედი, — გადმოკეთებული ვალოდიასი . . . . . 12
5. ბანაკად, — ლექსი შიო მღვიმელის . . . . . . . . . . . . . 15
6. სოფლის ბარაქა, — ლექსი დავ. შამათავასი . . . . . . . . 16
7. მაგნიტის შთახთან, — თარგ. ი-ს . . . . . . . . . . . . . . 18
8. ბოქლომები და ზარები . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
9. ავაშენოთ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 26
10. მიკროსკოპი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 30
11. წყვილი — კენტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
12. მკითხველი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 32



სახელგამის 2-ე სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. შეკ. 856 ტირ. 3,000. მთავ. 1731

Ն-94.

ეროვნული ბიბლიოთეკა




562

ოთარი რაზმში და სკოლაში საუკეთესო დამკვრელია, დედამისი სალომე ელექტრო-ქარხნის საუკეთესო დამკვრელი მუშა-ქალია. ოთარი თავის დედას არასოდეს არ მიმართავს უწმაწური სიტყვებით.

მათი ჩაკრიალებული და მყუდრო ოთახი მუდამ სავსეა მეზობლების ბავშებით. ოთარის ამხანაგ-მეგობრებს ძლიერ უყვართ ამ ოჯახში სტუმრობა. ოთართან ბავშები ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

ოთარის დედა—სალომე—მუდამ მხიარული ღიმილით ხვდება მასთან მომავალ ბავშებს.

თამაშობით დაქანცულ ბავშებს ხშირად სალომეც ჩაერევა ხოლმე საშველად: ჩაჯდება ფერად ტილოგადაკრულ სავარძელში, ბავშები კი—სავარძლის ირგვლივ; სალომე მოჰყვება ამბებს: რევოლუციის, სამოქალაქო ომის შესახებ, რომელშიც თვითონაც მიუღია მონაწილეობა, ელექტრო-ქარხნის შესახებ, რომელშიც ახლა თვითონ მუშაობს და სხვა. სალომე კარგად და საინტერესოდ ლაპარაკობს, ბავშები კი დგანან სულგანაბულნი და ყურადღებით უსმენენ. დაამთავრებს თუ არა სალომე ამბავს, მოფერებით გადაუსვამს ხელს ბავშებს და მზრუნველობით შეეკითხება:

— არ მოგშივდათ?

— კი, კი, მოგვშივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— არა, არა, კიდევ გვიამბე, კიდევ...

— შემდეგისათვის გიამბობთ, ახლა კი, ბავშებო, ყველანი მაგიდისაკენ.

მაგიდაზე გამოაქვს გულმოსულად მოჩუხჩუხე ჩაიდანი, პური და შაქარი. ყველანი ჩაის შექცევიან.

გაზაფხულის თბილ დღეებთან ერთად სალომეს ბინა კიდევ უფრო გამხიარულდა. ოთახის ღია ფანჯრებიდან თავისუფლად მოისმოდა ქუჩის ქრიამული, ხმაური ტრამვაის მქროლავი ვაგონებისა და ავტოების საყვირის ხმა.

დღეს კოლას ბინა, როგორც ჩვეულებრივ, სავსეა ბავშებით. მათი სიცილი, მხიარულება ისმის. ზოგიერთნი აწყობენ სამკლნათურიან მიმღებს, რომელიც სალომემ მიიღო პრემიად, ჯილდოდ, დაკვრითი წესით შესრულებული სამუშაოსათვის.

სალომე მოემზადა წასასვლელად.

— დეიდა სალომე, სად მიდიხართ?—შეეკითხენ და წამოცვივდენ ბავშები.

— სამუშაოდ, ბავშებო! ქარხანაში დღეს ჩვენ დიდი დღესასწაული გვაქვს.



— ჩვენც შეგვიძლია დედას ქარხანასთან ერთად ვიდღესასწაულოთ. წავიდეთ ყველა ტელეგრაფში, და როგორც კი შესრულდება 11 საათი, გვეცოდინება, რომ დედას ქარხანამ შეასრულა ხუთწლედი,—შეიტანა ოთარმა წინადადება.

ოთარს ყველა დაეთანხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მოდით და ბიცოლა სალომეს მოსვლის წინ ჩამოვკიდოთ პლაკატი გამარჯვების მილოცვით, — სთქვა გენომ.

იშოვეს ქაღალდის დიდი ფურცელი; თმახუჭუჭა ბორისმა წითელი მელნით დაწერა:

**მოგილოცავთ, ბიცოლა სალომე, დიად დღესასწაულს, რომელიც გამოწვეულია თქვენი ქარხნის მიერ ხუთ წლედის ორნახევარ წელს დამთავრებით.**

—ამხანაგებო,—სთქვა ოთარმა,— მოდით და ჩემს დედიკოს დავუძახოთ არა ,,ბიცოლა სალომე'', არამედ სხვა.

— თანახმა ვართ!—გაისმა აქით-იქიდან.

— დავუძახოთ ,,დამკვრელი''—შემოიტანა წინადადება სენომ.

— რომ ის დამკვრელია, ეს ისეც ვიცით,—გააწყვეტინა ოთარმა.

— აბა დავუძახოთ, ,,ელნათურა'' ან ,,ელნათურიკო''—სთქვა სონამ.

— თავი დაანებეთ სისულელეს! დავუძახოთ ის, რასაც ვუძახდით.

ბავშები დაიშალენ იმ პირობით, რომ საღამოს თავი მოეყარათ ტელეგრაფთან.

თბილი ღამე იყო. ბავშებმა დანიშნულ დრომდე მოიყარეს თავი ტელეგრაფის შენობასთან. მხიარული ბავშები თავისი ჟრიამულით იქცევდენ მგზავრების ყურადღებას. ბავშები მისჩერებოდენ ტელეგრაფის საათს და უცდიდენ რიცხვი 23-ის გამოჩენას. ბავშებს წუთები საათებად ეჩვენებოდათ. შესრულდა 23 საათი. მთელი ქუჩა ბავშებმა ,,ვაშას'' ძახილით დაფარეს. ბავშები განუწყვეტლად ყვიროდენ:

— ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს ელექტრო-ქარხანას!

— გაუმარჯოს ბიცოლა სალომეს!—წამოიძახა სენომ.

— ვაშაა! — გუნდად უპასუხეს ბავშვებმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვებმა კვლავ მოიყარეს თავი ბიცოლა სალომესთან.

ბიცოლა სალომემ დაიწყო ქარხნის შესახებ.

— მთელ თავის სიცოცხლეში, — დაიწყო მან, — მშრომელი მუშის ბინას ჭრაქი ანათებდა. თქვენ, ალბათ, იცით, ბავშვებო, რომ ასე არ ცხოვრობდენ ბურჟუები და მდიდრები. მათ ჰქონდათ კარგი სახლები, რომელიც ელექტრონით იყო გაჩაღებული. მაგრამ, აი, მუშებმა აიღეს ხელში ძალა-უფლება და უცბად ყველაფერი შეიცვალა. მუშების ცხოვრება, სამოქალაქო ომების და დანგრეული მეურნეობის აღდგენის შემდეგ, სულ სხვა შეიქნა.



— ბიცოლა სალომე, — გააწყვეტინა სენომ, — თქვენთან, ქარხანაში, ბევრი მუშაა?

— ახლავე, ჩემო სენო, ჩვენი ქარხნის ამბავსაც ვიტყვი. თქვენ, ბავშვებო, ყველამ იცით, რომ ჩვენში შენდება ბევრი ელექტროსადგური. ეს ახალი ელექტროსადგურები მოგვცემს ელექტროდენს იმ ახალ ქარხანა-ფაბრიკებისათვის, რომლებსაც ჩვენ ვაშენებთ. ამ ელექტროსადგურებითვე მავთულების ხლართით მოიფინება შორეული ადგილები, ჩვენი ქვეყნის მიყრუებული კუთხეები. ჩვენი ელექტროქარხანა, ელექტროსადგურებისათვის საჭირო სხვადასხვა

საგნებს გარდა, უშვებს კიდევ ელნათურებს, ან, როგორც მას ყველა ეძახის, „ილიჩის ელნათურას“. ჩვენი ქარხნის არსებობის პირველ წელს ქარხანაში მუშაობდა ოთხი ათას ხუთასი, ახლა კი მუშაობს 14 ათასი კაცი. წინად ჩვენი ქარხანა უშვებდა ათი მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელს წელიწადში, ახლა ათი მილიონი მანეთის საქონელს ქარხანა ერთ თვეში უშვებს. ჩვენ კარგად ვმუშაობდით, არ ვზარმაცობდით, რომ 5-წლედი შეგვესრულებინა სამ წელიწადში ოთხის ნაცვლად, მაგრამ შემდგომ ისე მოვახერხეთ, რომ სამი წლის მაგიერ ორნახევარ წელში შევასრულეთ.

— აი, ამხანაგებო, როგორ მუშაობენ! — ვერ მოითმინა და ხმამაღლა წამოიძახა გენომ.



სალომე განაგრძობდა:

— ქარხნის ხუთწლედის შესრულების საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღეს პიონერებმაც — ქარხნის მუშებთან ერთად ისინიც იბრძვიან ხუთწლედისათვის, ისინიც ებრძოდენ გაცდენებს და ჩავარდნებს.

ჩვენ, ბავშვებო, ვამაყობთ ჩვენი გამარჯვებით, მაგრამ ჩვენ ამაზე არ გავჩერდებით; ჩვენ კიდევ უკეთესად ვიმუშავებთ; ჩვენი ელნათურები კიდევ უფრო შორს, მიყრუებულ კუთხეში შეიჭრებიან ჭვარტლიანი ჭრაქის მოსასპობად.

ასე დაამთავრა სალომემ თავისი ამბავი.

ვლ. ჩ·ძე.





# ნორჩ ლენინელებს

ალბათ გეცოდინება,
ლენინელო პატარა,
რომ მონობის სიმძიმე
მამაშენმაც ატარა.
ოქტომბერმა დალეწა
ბორკილები რკინისა,
და კვნესა-გმინვის ნაცვლად
ისმის ხმა ჟიჟინისა.
დღეს შენც ოქტომბრელი ხარ
განახლებულ მხარისა,
ღირსეულ მემკვიდრე
მებრძოლ კომუნარისა.
ნურც შეარცხვენ მაგ სახელს
და ნურც მიზანს ასცდები;
დანარჩენს თვით მიხვდები,
როცა დავაჟკაცდები.

გ. ქუჩიშვილი.



# სექტემბრის პირველი რიცხვები

ტფილისის ცა უფრო გალურჯდა, ჰაერი გასუფთავდა, და კოჯრიდან ნიავი უფრო ხშირად უალერსებს მთაწმინდას. სექტემბრის პირველმა რიცხვებმა ტფილისის ქუჩები გააცოცხლა და ახმაურა.

— უუ… უუ…—დაიკივლებს მატარებელი და ათასობით ეზიდება მოწაფეებს ტფილისისაკენ.

დასვენებულნი, გაშავებულნი, უფრო მოძრავნი—კარგი სანახავები არიან ამ დროს მოწაფეები.

ვინ იცის, რამდენი გრძნობა ჩამოიტანეს, რამდენი ახალი იმედი და სიხარული უტრიალებთ გულში.

რვეულებით, დღიურებით და მოხსენებებით დატვირთულნი, სიამაყეს და პასუხისმგებლობას გრძნობენ ბავშები.

— თქმა არ უნდა, ძმაო, ბუნებისმეტყველების კაბინეტს წელს ჩვენი ჯგუფი გაამდიდრებს. იცი რაები გავაკეთეთ? აუარებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მცენარის ჯიშებით და მწერებით ავავსეთ ყუთები. კოლამ და ირაკლიმ გარეული იხვების და ხოხბების ისეთი ფიტულები გააკეთეს, რომ შევარცხვინე მაღაზიაში გასაყიდლად გამოფენილი ფრინველები.

— შენ ეგ რად გინდა, ბიჭო, ახლა ჩვენი საქმიანობა იკითხე? სოფლის კოლექტივები სიცოცხლით ჩვენ ავავსეთ. იცი, როგორ ვმუშაობდით? დღისით ბაღ-ვენახებში ოფლში ვიწურებოდით და საღამოთი კულტურულ ფრონტზე ორატორებიც ჩვენ ვიყავით, მსახიობებიც და პოეტებიც. გლეხები ისე შეგვეჩვივნენ, როგორც ნამდვილი ძმები და ამხანაგები, უჩვენოდ ველარა სძლებდენ.

— მოიცა, ბიჭო, ეს მითხარი, ვენახებში რას აკეთებდით, თორემ შეჩვევას, ჩემო ძმაო, რა ჭკუა აქვს...

— რას ლაპარაკობ, კაცო? ამ ზაფხულს ჩვენი გიგლა პირდაპირ ლექტორად გადაიქცა. ბაღ-ბოსტნების მოვლა-აღორძინების შესახებ რაც წაეკითხა, ყველაფერი გაგვაკეთებინა. პირდაპირ გაგვწურა, ძმაო, რაც ჯავრი ჰქონდა, სულ ჩვენზე ამოიყარა. ჯერ ხეხილების გასხვლა-გასუფთავება ვასწავლეთ, ხეხილების პატარა ფუღუროების სპეციალური მალამოთი ამოვსება და წამლობა ვაჩვენეთ, მერე გასხვლა-მყნობა და მავნებლებთან ბრძოლა გავაჩაღეთ. ხილის საწამლი ხსნარის გაკეთება იოლი წესით ვასწავლეთ და ხეხილებს მოკუპრული ულა ქამრები რომ გავუკეთეთ, გაკვირვებით სულ თვალები ვაჭყეტინეთ. მართლაც, ბიჭო, და რამდენიმე დღის შემდეგ რომ ვნახეთ ხეებზე შემორტყმული ქამრები, ისე შეხუნძლულიყო ჭიაღუა, გეგონებოდათ მძივით ნაქარგი ძვირფასი სარტყელიაო.

— აი, დედასა, რა ყოფილა ცოდნა! — ზოგიერთმა გლეხმა ტაში შემოჰკრა და ღიმილით თავი გაიქნ-გამოიქნია.

გიგლამ კი დარბაისლური კილოთი ასე განუმარტა მათ:

— ესენი ახლა ამ შემოდგომით ხეზე აცოცდებოდენ, ღრმად დასხეთქილ ქერქებსა და ფუღუროებში დაიბუდებდენ და ყველგან აუარებელ კვერცხს დასდებდენ. გაზაფხულზე გამოჩეკილი მწერები კვირტებს, რასაკვირველია, მუსრს გაავლებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამიტომ დახეთქილი ხის ქერქი, ჩამოცვენილი ფოთლები და გამხმარი ბალახი არასოდეს ვენახში არ უნდა გააჩეროთ, რადგან ისინი მავნებლებისათვის საუკეთესო თავშესაფარია.

ამას გიგლა პროფესორივით უხსნიდა, და ჩვენ ამ დროს ყველაფერი მზად გვქონდა. ხის ფოთლების, ქერქების, გამხმარი ბალახის პატარ-პატარა ბულულები დავდგით და ხელად ჭიაკოკონა დავანთეთ.

— აი ესე უნდა დასწვათ ჭიაღუების ბუნაგი, რომ ერთიც არსად გადარჩეს, გარდა ამისა, ეს ნაცარი თვითონ ვენახისათვის საუკეთესო განაყოფიერებელი მასალაა.

— ჰო, გეყოფა, ერთი, რა გაუთავებელი ზღაპარი გააბი! აბა ახლა ჩვენი საქმე იკითხე! დღეს ისეთი მოხსენებებით წარსდგება ჩვენი რგოლი, რომ...—ლაპარაკობდენ ადრე მოსული ბავშები სკოლის ალაყაფის კართან.

ცხრის ნახევრისათვის სკოლის ეზო ბავშებით გაივსო და კიდევ უფრო ახმაურდა.

მისალმებას, კოცნას და სიხარულს ბოლო არ უჩანდა, ბავშები სკოლაში მიმავალ მასწავლებელს შესავალ კარებთან სიცილით და მხიარული ყიჟინით წინ უხვდებოდენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— მასწავლებელო, მასწავლებელო, მასწავლებელო, მასწავლებელო...

— ჰო, რა იყო, სანდრო, მესმის, ბიჭო, მესმის!..

— მასწავლებელო, სუყველაფერი შევასრულე. ისე მიხარია, ისე, რომ...

— ჰო, ყოჩაღ, სანდრო, აბა ვნახოთ, ვნახოთ, ამას საქმიანი მოხსენება გვაჩვენებს დღეს, ან ხვალ.

— მასწავლებელო! ჩვენმა კოლექტივმა ისეთი გრძელი ექსკურსია გააკეთა, რომ მთელი კახეთი სულ ქვეითად შემოვიარეთ, შირაქის ნავთიც ვნახეთ. ისეთი კარგი იყო, ისეთი, რომ პირდაპირ გადავირიეთ. უი, რა კარგია ალაზანი, ცივ გომბორის მთა და მუდამ თოვლიანი, ცამდე აყუდებული ლეკის მთები!!

— მასწავლებელო, მასწავლებელო, ჩვენ...

მაგრამ მასწავლებელმა სკოლის კარებში შეჰყო თავი, და დარაჯმა კარი გამოიხურა.

ზარის დარეკამდე ბავშვებს შენობაში არ უშვებდენ, და უარესად გაღიზიანებული ბავშვები ყველა ახლადმოსულ მასწავლებელს და ამხანაგებს ყიჟინით უხვდებოდენ.

აგერ ზარიც დაირეკა, ხმაურობა უფრო გაცხოველდა. ეზოს ყოველი კუთხიდან მოწაფეები შესავალ კარებთან ტალღებად დაიძრენ.

აჭრიჭინდა კიბეები, აჭრიჭინდა კარები.

ბავშვების ხმაური ჯგუფებში შესვლისას წყნარდება. შენობიდან ახლა, როგორც დანელებული სკიდან, წყნარი გუგუნი მოისმის. ჯერ ცხრილი არ დამუშავებულა, მაგრამ ყველამ იცის რომელ ჯგუფში რა საგნის მასწავლებელი შევა... და ელიან, ელიან, სიხარულით თვალებში ცეცხლი უნთიათ.

რგოლების წარმომადგენლები უფრო დინჯად არიან; ისინი რვეულებს ფურცლავენ, მოხსენებას ათვალიერებენ და შეგროვილ ჰერბარიუმს წესით აწყობენ.

ესენი არიან პასუხისმგებელი თანამშრომლები.

— არიქა, ბიჭო, რეზო რომ არსადა ჩანს, რა გვეშველება, სოფლად საბავშო მოედნების მოწყობის შესახებ მოხსენებას ვინ გააკეთებს!..

— რა უშავს, ბიჭო! დღეს ერთი მოხსენება გავაკეთოთ, ის შემდეგ რიგში იქნება.

უცებ კლასი უფრო ახმაურდა და ფეხზე წამოდგა.

— გამარჯობა, მასწავლებელო, სალამი, მასწავლებელო!

მთელი ჯგუფი ფართოდ იღიმება და თვალებიდან ცეცხლს აკვესებს. მასწავლებელიც მთლად გაშუქებულია ღიმილით, ესალმება ყველას, ყველას და ახალი სასწავლო წლის დასაწყისს ახალი სიტყვით მიმართავს ბავშვებს.

ცქვიტი.



# თედოს ხუთწლედი.

თედო ისეთი ბიჭია, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს. მას ჯერ კიდევ შვიდი წელი არ შესრულებია და უკვე სკოლაში სწავლობს, კარგად კითხულობს, კარგად წერს.

ერთხელ სკოლიდან ძლიერ მშიერი დაბრუნდა და დედას საჭმელი სთხოვა.

— ჩქარა მამა მოვა და ერთად ვისადილოთ.

— მე არ მცალია მოსაცდელად.

დედას ჩაეცინა და თანვე სადილი გამოუტანა. თედო აჩქარებულად სადილობდა. გაათავა თუ არა სადილი, მაშინვე მივარდა თავის საწიგნეს, ამოიღო იქიდან რვეული, კალმისტარი და ისევ მაგიდას მიუჯდა.

ოთახში სიჩუმე იყო.

— დაიცა!—ხმამაღლა წამოიძახა მან და დაიწყო ორი სიტყვის ამოწერა:

,,თედოს ხუთწლედი‘‘

ამონაწერით თედო კმაყოფილი იყო, მაგრამ მისი ფიქრები შორს მიდიოდა; ფიქრები ისე მოზვავდა, რომ ხელი წერას ვერ ასწრებდა.

,,მე მაქვს ხუთწლედი.

მე კარგად ვისწავლი.

მე გავაკეთებ ათ ავტომობილს.

მე დავხატავ ას სურათს.

მე გავაკეთებ რადიოს დედასთვის. დედა უსწავლელია, და მე მას შევასწავლი წერა-კითხვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ფულს მხოლოდ კარგ საქმეზე დავხარჯავ''.

ბევრი სხვა სამუშაო და ვალდებულება ჩამოთვალა თავის ხუთწლედში.

როდესაც ყველა ჩამოწერილი გადაიკითხა, მას მეტად ცოტად მოეჩვენა. თედო ჩაფიქრდა და კვლავ ხმამაღლა წამოიძახა:

— დაიცა, დაიცა!!

და სწრაფად ჩაწერა რვეულში:

— მე პიონერი ვიქნები.

თედოს მოეხასიათა თავის მეზობელ სერგოსთან დაეტრაბახა თავისი ხუთწლედის შესახებ. ის უკვე მივიდა კარებთან, მაგრამ ახალმა ფიქრმა შეაჩერა.

მოაგონდა მამა, რომელიც ამხანაგებთან ერთად ქარხანაში აკეთებს სხვადასხვა მანქანას და კრებებზე კი სიტყვებს ლაპარაკობს. მამასთან ხშირად მოდიან ეს მისი ამხანაგები. ერთხელ ისინი ლაპარაკობდენ ერთ შემთხვევაზე, როდესაც მამამ მათ უთხრა: ,,ჩვენი ბავშვებისაგან ჩვენ ახალი ინჟინრები უნდა მოვამზადოთ''. გაახსენდა თედოს ეს სიტყვები და გადაწყვიტა, რომ მარტოოდენ პიონერობა არ კმარა და ინჟინრობა ამიერიდან მისი მთავარი მისწრაფება უნდა იყოს.

თედომ ამრიგად თავის ხუთწლედს დაუმატა:

— მე გავხდები ჯერ პიონერი და შემდეგ კი ინჟინერი.

თედოს მამა, როგორც ყოველთვის, ახლაც შეუმჩნევლად შემოვიდა. იგი მაღალია და ღონიერი; მას უყვარდა თედო და ანებივრებდა.



მან დღეს უყიდა თედოს სათამაშო ორთქლმავალი, მაგრამ მოსვლისთანავე არ უთქვამს ამაზე, სანამ პირველად თედოს რვეულში არ ჩაიხედა.

— ყოჩაღ, თედო, ყოჩაღ! — წამოიძახა მან თედოს ,,ხუთწლედი''-ს წაკითხვის შემდეგ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგია, მამილო? ამაყად შეეკითხა თედო.

— ჩინებულია, ჩემო თედო! შენი ხუთწლედი პირდაპირ საბავშო გაზეთში უნდა გაიგზავნოს, რათა სხვა ბავშებმაც გაიგონ. მოდი, გავგზავნე.

მცირე ხნით ჩაფიქრების შემდეგ თედომ ჰკითხა მამას:

— მამილო, შენ გაქვს ხუთწლედი?

მამას ჩაეცინა.

— აი, სულელი! მუშა ხუთწლედის გარეშე წარმოუდგენელია.

მამა მიუჯდა თედოს გვერდით, თავზე ხელი გადაუსვა და ლაპარაკი დაუწყო თავის ხუთწლედზე:

— ხუთწლედი მარტოოდენ მე არა მაქვს. ჩვენ, მუშები, გაერთიანებული ძალით ვაშენებთ ქალაქებში ახალ ქარხნებსა და ფაბრიკებს. სოფელში ღარიბი და საშუალო გლეხობა ერთიანდება კოლმეურნეობებში და თქვენ, ბავშებს, პიონერებად გზრდით, რათა თქვენც ისწავლოთ აშენება. ამით ჩვენ შევქმნით, ჩემო პაწიავ, კარგ ცხოვრებას. ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკოთ და ახლა კი ვისადილოთ.

თედოს რცხვენოდა, რომ მამას არ დაუცადა, მაგრამ მამა ამისათვის მას არ შესწყრომია. მან უთხრა:

— მაშ კარგი, წადი და ცოტა წაითამაშე; ახალ ცხოვრებაზე ჩვენ შემდეგ კიდევ ვილაპარაკოთ!

თედომ ამაზე სიხარულით უპასუხა:

— მე ჩქარა მოვალ.

თვითონ კი ფიქრობდა, რომ თითოეული ბიჭი, თითოეული გოგო, ყველა, ყველა ბავში უნდა ემზადოს ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

ვალოდია.





# ბანაკად

დღეს ბანაკად მივდივართ ჩვენ
სიმღერებით მოსაწონით,
რომ საკმაოდ დავისვენოთ
ველ-მინდვრებზე ჯანით, ღონით.

თუ აქამდე გაკვეთილებს
დავუდევით გული, თავი,
ახლა უნდა ვავარჯიშოთ
როგორც მუხლი, ისე მკლავი.

ისე როდი, რომ უბრალოდ
მხოლოდ ღონე ვამცონაროთ,
არა, თუ კი საჭიროა
საქმეს უნდა წავეხმაროთ.

კორდები კი მწვანე მოლით
მარტო რბენით რომ არ ვთელოთ, —
ზოგმა უნდა ვთოხნოთ, ვბაროთ,
ზოგმაც კიდევ უნდა ვცელოთ.

სადაც უფრო ითხოვს საქმე,
იქაც მალე მივეშველოთ,
თუ გაჭირდა, ერთმანეთი
შეჯიბრითაც გავახელოთ.

ცუდად ჯდომა-მცონარობას
ყველამ თავი დავახწიოთ,
რაც ჩვენ ღონეს მოუხდება,
ის ვზიდოთ და ისა ვწიოთ.

შრომით ღონე მოვიმატოთ,
ერთხელაც არ დავძაბუნდეთ,
ყველა გაჯანსაღებული
სკოლებს ისევ დავუბრუნდეთ.

შიო მღვიმელი.

# სოფლის ბარაქა.









დღეს სიხარული დიდია,
ვხარობთ მზიანი დარებით,
ქალაქისაკენ მიდიან
წითელი ქარავნები...

—





კოლექტივს გაუმარჯვნია,
ხარობს, იცინის მთა-ველი,
საერთო ხელი აჩნიათ,
კარგია პურის თაველი.

—

აივსო თითქმის ყოველი
უხვი მოსავლის ბარაქით,
ახლა სოფლის პურს მოელის
ჩვენი დამკვრელი ქალაქი.







ეროვნული ბიბლიოთეკა




დიდი-პატარა თავიდან
ემზადენ დიდი ხანია,
დღეს რომ სოფლიდან გავიდა,—
წითელი ქარავანია...



გადაიარეს ბინდებმა,
იღვიძებს, ცოცხლობს ყოველი,
ბოლშევიკურად იზრდება
ბოლშევიკური სოფელი.



სივრცე წითელი ფერია,
გაქრა ბურუსი, იჭვები,
მინდვრებზე მოიმღერიან
პატარა გოგო-ბიჭები.



დიდი-პატარა თავიდან
ემზადა დიდი ხანია,
დღეს რომ სოფლიდან გავიდა,—
წითელი ქარავანია...

დავ. შამათავა.







# მაგნეტის მთასთან

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მიისწრაფის ხალხი ურალის მთებისაკენ. მიდიან მაგნიტოგორსკის სადგურამდე.

რა სადგურია ეს ახალი სადგური? უწინ ასეთი სადგური არ იყო. ეს სადგური დიდიხანი არ არის რაც ააშენეს. ჯერ სადგურის შენობაც კი არ არის, პირდაპირ ვაგონი დგას, ვაგონზე მიმაგრებულია ფიცარი, ფიცარზე თეთრი საღებავით დაწერილია: „სადგური მაგნიტოგორსკი“- აი ეს არის სადგური.

პატარა კი არ გეგონოსთ სადგური — იმდენი მატარებელი მიდის, რომ ზოგიერთი დიდი ქალაქის სადგურებზეც კი არ მიდის იმდენი.

მიდიან მუშები, გლეხები, კომკავშირელებსაც სურთ იქ მოხვდენ და პიონერებსაც. ბევრმა მუშამ გადმოლახა ოკეანეები მაგნიტომშენებლობაში სამუშაოდ. მუშებში თქვენ გაიგონებთ ინგლისურს და გერმანულ ენასაც. ლაპარაკობენ უკრაინულად, ქართულადაც და მრავალ სხვადასხვა ენაზედაც.

ყველანი შემოიკრიბენ აქ სამუშაოდ.

მუშათა არმიამ იერიში მიიტანა მაგნეტის მთაზე, როგორ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეზე. რა უნდა ამ ხალხს, რით არის შესანიშნავი ეს მთა, რომელიც მთა კი არა, პატარა გორაკია, ერთი კი არა, ოთხი პატარა გორაკია ერთად შეზრდილი. ამ გორაკებს ეძახიან: ატაჩ, არყის გორა, შორეული და უზიანკა. ამ პაწია გორაკების გარშემოვლა ადვილად შეიძლება ერთი დღის განმავლობაში, სრულიად პატარა, უმნიშვნელო გორაკებია. ურალზე არის ბევრად უკეთესი მთები, მაღალნი, ლამაზები, ესენი კი რა არის? უბრალო კოჯრები!

### რა უნდა ამოიღონ?

მაგრამ ინჟინრებმა სწორედ ეს გორაკები ამოარჩიეს. სწორედ აქ მოუწოდეს მუშათა არმიას. ამ მთასთან მიიტანეს უზარმაზარი ამერიკული მანქანები. რისთვის?



მთა რომ გავჭრათ ზევიდან ქვევით, დავინახავთ, რომ ხაჭაპურს ჰგავს. შიგნით გატენილია, როგორც ხაჭაპური ყველით. მხოლოდ გატენილია მაგარი შავი ქვით, ზოგიერთი ადგილი კი მოწითალო, ჟანგის ფერი ქვით. რომ მოსტეხოთ ამ ქვის პატარა ნატეხი და ჩააგდოთ წვრილი ლურსმნის გროვაში, ლურსმნის გროვა ყოველი მხრიდან გარს შემოეკვრება მას. ქვა აიბუძგება ზღარბის მსგავსად. ლურსმნები თითქოს ეწებება ქვას და გაშვერილი არის ყოველმხრით. ქვას წებო კი არ აქვს, მაგნეტი არის და იზიდავს ლურსმნებს, როგორც მაგნეტი.

ამიტომაც მთელ მთას მაგნეტის მთას ეძახიან, შავ ქვას კი მაგნეტს ეძახიან. მაგნეტი საუკეთესო რკინის მადანია. ერთი კილოგრამი მადნისაგან შეიძლება 600 გრამი რკინა მიიღოთ! ეს გორაკები შეიცავს 300 მილიონ ტონა მადანს. მთელი მადანი რომ ამოვიღოთ და კუბი დავდგათ, მივიღებთ სამი კილომეტრის სიმაღლე კუბს, და ირგვლივ კი რომ შემოვუაროთ, 5 საათი დაგვჭირდება.

აი ამ მაგნეტის მთისაგან იღებენ გულს — რკინის მადანს. ამ სიმდიდრის შესახებ დიდი ხანია იცოდენ, 200 წელიწადს ალარაფერი აკლია, მაგრამ მაინც ხელუხლებელი იყო. მეფის მთავრობა და კაპიტალისტები აწარმოებდენ მუშაობას, მხოლოდ რაც ახლოს იყო, მაგნეტის გორაკები კი შორს არის — ურალის მთებში. აი ამიტომ იყო ხელუხლებელი. მთელ დედამიწის ზურგზე არ მოიპოება ისეთი სიმდიდრე, როგორც მაგნეტის მთაშია — ეს რკინის მთაა.

**უნახშიროდ რკინას ვერ გამოადნობ. სად უნდა ვიშოვოთ ნახშირი?**

უბედურება ის კი არ არის, რომ მთა შორს არის, ცუდია ის, რომ ახლომახლო არც ნახშირი, არც



წყალი არ მოიპოვება. ნახშირი და რკინა მეგობრებია. უნახშიროდ რკინას ვერ გამოადნობ, რკინის სადნობად საჭიროა 1700 გრადუსი სიცხე, ამგვარ სიცხეს კი იძლევა ნახშირი ან ელექტროდენი.

საიდან უნდა მოვიტანოთ ნახშირი? სიახლოვეს არსად არის, უნდა მოტანილ იქნას ან ციმბირიდან, ან დონის აუზიდან. აბა გაზომეთ რუკაზე, რომელია უფრო ახლოს—ციმბირის, რომელიც ქალაქ კუზნეცკის მახლობლად არის, თუ დონის?

მგონია, უფრო ახლოს დონის აუზია, მაგრამ რამდენი ნახშირია საჭირო? ქარხანა შენდება 50 წლის ვადით. ამ ხნის განმავლობაში მთელი ეს გორები უნდა გადაადნონ რელსებად, ჭანჭიკებად, რკინისა და თუჯის ზოდებად. მთაში 300 მილიონი ტონა მადანია, ეს ნიშნავს, რომ 300.000.000:50=6.000.000.

გამოანგარიშებულია, რომ ერთ ტონა რკინის გადასადნობად საჭიროა ერთი ტონა ნახშირი, მაშასადამე, ერთი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 6 მილიონი ტონა ნახშირი. შეუძლია დონის აუზს შეასრულოს ასეთი შეკვეთა? მას ისედაც ბევრი ქარხანა და ფაბრიკა აქვს, რომელთაც აძლევს ნახშირს. დონის აუზი ვერ ასწრებს მიაწოდოს ნახშირი მატარებლებით მოსკოვს და ლენინგრადს, მაგნიტოგორის ქარხნის დაკმაყოფილება მისთვის შეუძლებელი იქნება.

ნახშირის მოტანა გადაწყდა კუზნეცკის აუზიდან. კუზნეცკის აუზი უზარმაზარი მიწისქვეშა სიმდიდრეაის ათჯერ უფრო დიდია დონის აუზზე. დონის ნახშირის ფენაში ადამიანი ძლივ-ძლიობით შესძლებს გამართვას, კუზნეცკის აუზის ფენა კი ისე სქელია, რომ შეიძლება უზარმაზარი დარბაზები და მთელი ბინები გამოიკვეთოს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## წყალი არ არის, საჭიროა გამოინახოს.

წყალიც არ არის და საჭირო კია: მადანს გარეცხა უნდა—ტალახი და მიწა უნდა ჩამოშორდეს, წყალი სჭირდება მანქანებს და მუშებს სასმელად. როგორ იშოვნონ წყალი? ეს მეორე კითხვა ინჟინრებმა გადასწყვიტეს უწინ, ვიდრე მუშებს გამოიწვევდენ მაგნეტის მთასთან.

მთის ახლოს სულ ერთი საათის სავალზე არის მდინარე ურალი. მდინარე გადარეული და შფოთიანია გაზაფხულზე, ზაფხულობით კი ეს პატარა ღელეა, ქათამსაც კი არ გაუჭირდება მის ფონზე გადასვლა. გაზაფხულზე მისი კალაპოტი წყლით ივსება და დიდდება, რადგანაც ურალის მთებში თოვლი დნება.

გაზაფხულობით შეიძლება ზიდონ წყალი მდინარიდან—წყალიც საკმაო იქნება, მაგრამ რა უნდა ჰქნან ზაფხულში, როდესაც წყალი არ არის? ინჟინრებმა გადასწყვიტეს წყლის მომარაგება.

გადასწყვიტეს საგაზაფხულო წყლისთვის გააკეთონ აუზი და აგროვონ წყალი საზაფხულოდ მთელი გაზაფხულის განმავლობაში. მთელი ტბის ოდენაა ეს აუზი. სიგრძე მისი ერთნახევარ კილომეტრს უდრის.

მდინარე გადატიხრეს. კედელი 5-სართულიანი სახლის სიმაღლეა. ეს კედელი—ჯებირი აკავებს წყალს. წყალი გაზაფხულზე დიდდება, ჯები-

რის მწვერვალს აღწევს და უზარმაზარ ტბას წარმოადგენს, სიგრძით რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ამ წყალს დაზოგვით ხმარობენ მთელი წლის განმავლობაში. დღეში საქიროა 36.000.000 ვედრო წყალი.

ჯებირის შენება დაიწყეს 1929 წელს. ჯებირის ადგილას ამწვანებული ტრიალი მინდორი იყო, ზედ ცხენები და ძროხები სძოვდენ. ამ მინდორში გაიქიმა უზარმაზარი კედელი. ინჟინრებმა გამოიანგარიშეს და დანიშნეს ჯებირის აშენების ვადად წელიწადნახევარი. მუშებმა ინჟინრების გეგმის შესახებ სთქვეს:

— წელიწადნახევარი ბევრია, მოდი, ჩვენი გეგმა დავახვედროთ წინ. შეადგინეს შემხვედრი გეგმა. ინჟინრების გეგმას მოაკლეს სამი თვე.



— ავაშენებთ ჯებირს ოქტომბრის რევოლუციის მე-13 წლისათვის საჩუქრად,—ასე გადასწყვიტეს მუშებმა.

გაცხოველებული მუშაობა გაჩაღდა. საკმაო იყო ერთი დღის დაგვიანებაც კი, რომ ჯებირის საქმე დაღუპულიყო. ჯებირს ხომ ტინობისაგან აკეთებენ და ტინობს კი ყინვის ეშინია. სულ მსუბუქი ყინვაც კი მაგარი ქვის ტინობს ფშვნის და სილად აქცევს.

ჩქარობდენ და აჩქარებდენ. როდის დაიწყებოდა ყინვები, არავინ იცოდა. გაიმარჯვეს მუშებმა. ჯებირის შენება გაათავეს ნაადრევი ყინვის დაწყებაზე უფრო ადრე.

დამკვრელებმა გაიმარჯვეს, შემხვედრი გეგმა შეასრულეს, ყინვას დაასწრეს, ჯებირი ამოიყვანეს ვადაზე. 15 მეტრის სიმაღლე და ათასხუთასი მეტრის სიგრძე კედელი გადაეღობა წყალს და ელის გაზაფხულის სითბოს, რომ შეაკავოს წყალი. გაზაფხულზე წყალს თავისი ჩვეულებრივი კალაპოტის მაგივრად წინ გადაეღობება რკინისა და ტინობის კედელი, აქაფდება და მორჩილად გასწევს მილებში მაგნიტოგორის ქარხნის ბრძმედებისაკენ. ამნაირად იშოვნეს წყალი, მაგრამ ეს წყალი ვარგა მხოლოდ მანქანებისა და ბრძმედებისათვის, დალევა კი არ შეიძლება. მუშების სასმელად წყალი აბანოს ტბიდან გამოიყვანეს. აბანოს ტბა 50 კილომეტრის მანძილზეა ქალაქ მაგნიტოგორიდან.

მთის გადაღრღნა და მისი რკინად გადადნობა დიდი სამუშაოა, წელიწადში უნდა

ამოიღო ექვსი მილიონი ტონა მადანი. ამისათვის უნდა იმუშაო დღე და ღამე, ყოველი წუთის განმავლობაში უნდა ამოღებულ იქნას თითო ვაგონი მადანი

სთქვა „ერთი“ —და ვაგონი გაივსო.

— „ორი“-და მეორე ვაგონია მზად.

ვერც მოასწრებს საათი ათჯერ დააკაკუნოს ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, რომ ათი ვაგონი უკვე მზად უნდა იყოს. განა შესაძლებელია ადამიანისათვის ასეთი სისწრაფით მუშაობა? უმჯობესია ადამიანმა არ იკისროს ასეთი საქმე, ეს მანქანის საქმეა. მადნის მთხრელები მექანიკური ბურღები და დინამიტია. მადანს ვაგონებში ჰყრის და ტვირთავს მანქანა — ექსკავატორი. მაგნიტომშენებლობის ექსკავატორი ისეთი კი არ არის, როგორიც სხვა მშენებლობებს აქვსთ. მისი ჩამჩა ერთბაშად იღებს ნახევარ ვაგონ მადანს და ჰყრის ვაგონში. ვაგონებიც იქ არაჩვეულებრივია. ისეთი კი არაა, როგორც რკინის გზებზე, ოთხჯერ უფრო დიდია. მადნის მატარებელი ხუთი ვაგონისაგან შედგება და ორთქლმავალი სულ არა აქვს, ორთქლმავლის მაგივრად ვაგონებს ელექტროწამყვანი ეწევა.

ამნაირი მანქანები რომ არ იყოს, საჭირო იქნებოდა ასი ათასი მუშა, ნამდვილად კი საჭიროა ხუთჯერ ნაკლები. მუშები მაგნიტომშენებლობაში მანქანების ხელმძღვანელები არიან.

მაგნეტის მთა კიბედ გადააქციეს. მთელ მთაზე საფეხურები გათხარეს, მხოლოდ პატარა საფეხურები როდია, ზედ მთელი მატარებელი ეტევა. ყველა საფეხურზე რკინის გზაა გაკეთებული.

დინამიტით აფეთქებენ მადანს, ექსკავატორით იღებენ და ჰყრიან ვაგონებში, ელექტროწამყვანით მოჰყავთ მატარებელი მთის საფეხურზე, შემდეგ მატარებელი ეშვება ძირს ქარხნისაკენ.

ელექტროწამყვანებისათვის და სახელოსნოებისათვის საჭიროა ელექტრობა, ამისათვის აშენებენ ელექტროსადგურს.

ამ უზარმაზარ ქარხანასთან შენდება 80000 კაცისათვის ქალაქი. ის ქალაქი იქნება მაგნიტომშნებლობის მუშათა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი ადგილი. ეს იქნება ახალი სოციალისტური ქალაქი დიდრონი, ნათელი სახლებით და სუფთა ქუჩებით. ქალაქში არცერთ სახლში ღუმელი არ იქნება, იმიტომ რომ სახლების გასათბობად იქნება მხოლოდ ერთი ცენტრალური ღუმელი.

ეს უზარმაზარი ქარხანა — გიგანტი ამჟამად შენდება, მოქმედებას დაიწყებს ხუთწლედის მესამე წელს, ე. ი. ამ შემოდგომაზე.

მ. ბესკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკ

# ბოქლომები და ბიჭები

(ინსცენირობა)

პეტო (შემოდის ჩქარი ნაბიჯით, მიიხედ მოიხედავს. იყურება მაყურებლებისაკენ).

— ქეთო, ქეთო, შენ გეძახი, ქეთო! ოჰ, რამდენი დავიდარაბა სჭირდება, სანამ იპოვიდე. ვეძებ, როგორც ნემსს ბალახში, და არაფერი გამოდის! ძალიან საჭირო საქმე მაქვს, ჩემი საკუთარი კი არა, კოლმეურნეობისათვის. მოქალაქენო! აი თუნდა თქვენ, მოქალაქევ, თუ სადმე დაინახოთ ქეთინო, უთხარით, პეტო პიონერი გეძებდათქო (გარბის მარცხენა კარებში. შემოდის ქეთო).

ქეთო. — უფ, რამდენი ხალხია! ორმოცდაათ კაცზე მეტიც იქნება, მარტო ლადიკო ქონდაძე არსად ჩანს. ოჰ, რა მეწყინა, პირდაპირ შემძულდა მთელი ქვეყანა. მუშაობას უნდა შევუდგეთ და ლადიკო კი არ არის და არა. (მიდის მარცხნივ, მისი წასვლის შემდეგ მაშინვე მარჯვენა კარებიდან გამოდის ორი პიონერი, იხედებიან იქით-აქეთ, ხელებს ასავსავებენ და გადიან მარცხენა კარებში).

პიონერი ქალი (მაყურებლებიდან) — ნეტა რა საქმე აქვთ? სად წავიდენ?

პიონერი ვაჟი (ისიც დარბაზიდან) — წავიდეთ, შევიტყოთ.

პიონერი ქალი. — წავიდეთ. (მიდიან მთელ დარბაზში, სცენაზე, გადიან მარცხენა კარებში).

ლადიკო (შემოდის). — ისინი აქ იქნებოდენ უთუოდ, ახლავე შევიტყობთ (იღებს სასტვენელს და მაგრად უსტვენს. შემორბის ქეთო, პეტო და ყველა პიონერი, რომლებიც მარცხენა კარებში გავიდენ, და დგებიან მწკრივად). — წყნარად! გეკითხებით, მომისმინეთ ყურადღებით! რა სამუშაო გვაქვს შესასრულებელი?

ყველა. — ახლოვდება ტეხაკრეფის კამპანია.

ლადიკო. — კოლმეურნევ, აბა ფხიზლად იყავი, შენი ძალ-ღონე გაითვალისწინე!

ყველა. — მოსავალი ცხრა მთას იქით როდია, კარზე მოგვადგა და გვიკაკუნებს.

ხმები. — ვინ არახუნებს? წავიდეთ, ვნახოთ.

ლადიკო — არავინ დააკავოთ, ყველანი შემოუშვით (ყველანი მირბიან კარებისაკენ, აყურებენ და ისევ ბრუნდებიან).

ყველა — კოლმეურნეობის მოსავალია (კარებს არახუნებენ).

ლადიკო — შემოუშვით ჩქარა რას გაჩერებულხართ?

ყველა — კარებს ვერ ვაღებთ ბოქლომები ჰკიდია. (ისევ ძლიერი რახუნი ორივე კარში).

ყველა. — მოსავალი ისევ არახუნებს, ლამის კარები შემოა[ნ]გრიოს.

ლადიკო. ახლავე ვიშოვით გ[ა]საღებებს და გავაღებთ ბოქლო[მებს]



შებს. (მიდის სცენის სიღრმეში და მოაქვს უზარმაზარი, მუყაოს ან ფირფიცრისაგან გაკეთებული გასაღები, რომელზედაც აწერია „მოსავლის აკრეფის გეგმა“, აძლევს საშუალებას მაყურებლებს წაიკითხონ წარწერა და გადასცემს ბავშვებს).

ყველა. – გასაღები რომ არ გვქონოდა, ვერ გავაღებდით კარებს.

ლადიკო. – ამ გასაღებს გეგმა ჰქვია.

ყველა. — ამ გასაღებით კი ახლავე გავაღებთ კარებს. (ორს მიაქვს გასაღები,ვითომც მძიმე რამე, მიდიან კართან და ვითომ აღებენ).

ორი (გასაღებებიანი) — ეს გასაღები ძალიან დაგვეხმარა, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ვუშველეთ. ჩვენ ერთი გასაღებით გავაღეთ და აქ კი, შეხედეთ, კიდევ რამდენი ბოქლომია.

ლადიკო. — მაგრამ მოვკიდოთ ხელი საქმეს, ამხანაგებო (მოდის ისევ სცენის სიღრმეში და მოაქვს გასაღები). დაიჭით, გააღეთ მარდად. (აძლევს ორ სხვა ბავშს გასაღებს, რომელზედაც აწერია „მანქანის შემკეთებელი“. ბავშები გარბიან და ისევ აღებენ კარებს) გააღეთ?

ორი — გავაღეთ მხოლოდ ორი ბოქლომი, დანარჩენები ისევ ჰკიდია კარებზე, ვეებერთელები, ისეთები, რომ...

ლად. — აბა, ამხანაგებო, დაფაცურდით, დრო აღარ ითმენს, წაიღეთ კიდევ გასაღებები, თუ ორი არ გეყოთ. (აძლევს კიდევ გასაღებებს წარწერით: „კოლმეურნეების მიმაგრება მანქანებზე“ და „შრომის სწორი ორგანიზაცია“, „დამკვრელობა“ და „სოცშეჯიბრება“. ბავშებს მიაქვთ გასაღებები და ფუსფუსობენ ბოქლომებთან).

ლად. — რაც ძალ-ღონე გვაქვს, ვცდილობთ მოსავლის აკრეფას დავეხმაროთ.

ყველა — კარებს ჩამოვხსენით ბოქლომები, მაგრამ კიდევ ბიჯგები ჰქონია.

ლადიკო — რა ბიჯგებია?

პირველი – რაღაც გადასაყრელი კუნძებია.

მეორე – საძაგელი, უვარგისი მორები.

ყველა — ძალიან ბევრი კი არ არის, მაგრამ არც ცოტაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**პირველი** — ერთი მუქთახორაა!

**მეორე** — მეორე მოსეირნე — ლოთი!

**მესამე** — კულაკების მაჩანჩალა!

**ყველა** — როგორ მოვიშოროთ თავიდან ეს ხელის შემშლელი ხალხი?

**ლადიკო** — გამოაფინეთ ისინი შავ დაფაზე და კედლის გაზეთებში (ყველა მიცვივდება, კარებს მიაწვებიან და „აგდებენ ბიჯგებს“. კარები იღება, შემოდის უზარმაზარი პურის კონები, ერთი წინ, ზამთრის, მეორე — ზაფხულის).

**პიონერები** — დიდი ხანია უნდა გაგეღოთ კარები...

**ყველა** — კოლმეურნეობის მოსავალს ვაშაა!!

**ხმები** — ჰაერში ავაგდოთ, ჰაერში უსათუოდ!

**ლადიკო** (კონებს) — ამხანაგებო! დიდი ხანია თქვენ მოგელოდით, ჩვენ დაგიმტკიცებთ თქვენ მეგობრობას და სიყვარულს. ყმაწვილებო, წავიღოთ ისინი კოლექტივის კალოზე და გავაცნოთ ჩვენი სალეწავი მანქანა. (ორი ბავში აცილებს კონებს კარებამდე, შემდეგ ბრუნდებიან და ისევ დგებიან მწკრივში)

**ყველა**. (მწკრივში ჩამდგარნი, ასწევენ ერთად წარწერებს, ხალხისაკენ მიაბრუნებენ):

გაბედვით და ფხიზლად
ვუყურებთ მომავალს,
ჩქარა მოსავალს
ავკრეფთ ჩვენ მრავალს!

**ლადიკო** — ჰეი, კოლმეურნეობების გამგეებო! ნუ იჩეჩავთ მხრებს, ნუ იგდებთ აბუჩად ჩვენ რჩევას.

**ყველა**. — დრო კიდევ არის! მოიმარაგეთ გასალეწები, მოამზადეთ კამპანიისთვის.

**ლადიკო** — მთელი ჩვენი ძალღონე მოვახმაროთ მოსავლის აკრეფას: პური გაივსო, დამწიფდა!

**ყველა** — თუ მუშაობაში ხელს გვიშლის ბიჯგები, გავანგრიოთ ისინი ჩქარა!

**ლადიკო** — კიდევ ვიმეორებთ, ამხანაგებო, რაც ჩვენ გითხარით, ისმინეთ გულდასმით!

**ყველა** — აი ასეთი გასალეწები აქვს თუ არა ყველა ჩვენს კოლმეურნეობას?

# ავაშენოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჟნი ნოვგოროდის უზარმაზარმა ქარხანამ უნდა გამოუშვას წელიწადში 140.000 ავტომობილი.



140 ათასი ავტომობილის ძალა უდრის თითქმის **სამნახევარი მილიონი** ცხენის ძალას.

რას არ აკეთებს ავტომობილი...



ხალხის გადაყვანა გინდა? გადაჰყავს სწრაფად.



ტვირთის გადატანა გინდა? გადააქვს დიდი ტვირთი და ისე სწრაფად, რომ ვერავითარი გაჭენებული ცხენი ვერ დაეწევა.

ქუჩის მორწყვა გინდა? ავტომობილი რწყავს. ხანძარია? მოცვივდებიან უცებ ავტომობილები, გაიშლებიან, აიწევა ზევით სულ მაღლა, მაღლა სახანძრო კიბე, რომელიც ავტომობილმა მოიტანა, და ამავე დროს შლის და სწევს კიდევაც მას მაღლა ძრავით, კიბეზე ადიან მეხანძრეები.

მძიმე მანქანაა ასაწევი, რომლის აწევა შეუძლებელია? — მოდის ავტომობილი — ონკანი, აქლარუნდება ჯაჭვი და მიაქვს ტვირთი.

გაწყდა ტრამვაის გამტარი? — მოდის სამონტაჟო ავტომობილი და აკეთებს.

უბედურება რამ მოხდა? ექიმია საჭირო საჩქაროდ? — ყვირილით და ხმაურით მოქრის ავტომობილი, შიგ ექიმი და სანიტრები სხედან, წამლები მოაქვთ. ავტომობილს აწერია **,,სწრაფი საექიმო დახმარება‘‘.**

ომია, საზღვარგარეთიდან კაპიტალისტები გვესხმიან თავს? იმათ ვაგებებთ სქელი ფოლადით დაფარულ ჯავშნიან ავტომობილებს წითელარმიელებით. **უკუ იქეცი, მტერო, ნუ გვიშლი ჩვენი მეურნეობის მოწყობას! ნუ გვიშლი სოციალიზმის დამყარებას!**

ავტომობილი საჭიროა აგრეთვე სახალხო მეურნეობაშიაც.

აი რატომ აშენებს ასეთი სისწრაფით ჩვენი კავშირი ავტოქარხნებს და ამზადებს ავტომუშაკებს.

ახლა იფიქრეთ, რამდენი შოფერი იქნება საჭირო.

უთუოდ ბევრი თქვენთაგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკიდებს ხელს ამგვარ სამუშაოს.

მანამდე კი, სანამ პატარები ხართ, მოდით, ვისწავლოთ პატარა ავტომობილების გაკეთება, ისეთების კი არა, როგორც ნამდვილი ავტომობილებია ბენზინის ძრავებით, ჩვენ გავაკეთოთ რეზინისძრავებიანი. ურიგოდ კი არ ივლის ასეთი ავტომობილი და ტვირთსაც ზიდავს. მასალები საჭიროა — ფიცარი, რგვალი ჩხირები, სქელი მუყაო, ოთხი ხრახნიანი რგოლი, კარის კაკვისათვის რომ ხმარობენ ისეთი, წებო და ცოტაოდენი რეზინის გრეხილი.

იარაღი — დანა, მაკრატელი, სადგისი, ჩაქუჩი, რასაკვირველია, სახაზავიც.

ახლა გავსინჯოთ ავტომობილის აგებულება (კონსტრუქცია). ნახ. გვ. 29. ნაჩვენებია ავტომობილის ძირი ქვეშიდან. პატარა ფიცარზე კუთხეებში




კიდეებიდან ერთი სანტიმეტრის დაშორებით მიხრახნილია ოთხი ხრახნიანი რგოლი. იხ. ნახ. 27 ; ამ რგოლებში უნდა გაუყაროთ რგვალი ჩხირები (3). ესენ არის გოგრების ლილვები. ლილვებზე ბოლოზე უნდა იქნეს მიმაგრებული გოგრები (4), ლილვებმა რომ არ ილაყლაყონ იქით-აქეთ, მიხრახნილ რგოლებთან ჩაჭედეთ პატარა ლურსმნები (5), იმისათვის, რომ ლურსმ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნები არ გაეხახუნოს რგოლებს, ლილვს, რგოლსა და ლურსმანს შუა უნდა ჩამოაცვათ მუყაოს რგოლები (6). ფიცრის ერთ-ერთ ბოლოში ლურსმანზე (7) უნდა შეაბათ რეზინის ერთი თავი (8), მეორე უნდა მოაბათ ლილვს.



თუ გოგრებს, რომლის ლილვზედაც რეზინაა მიბმული, დაატრიალებთ, რეზინა გაიწევა და დაეხვევა ლილვს. თუ ხელს გაუშ-



ვებთ — რეზინა უკანვე გაიწევს და თვითონ აატრიალებს ლილვს.

ახლა კონსტრუქცია გასაგებია, მოდი, ნაწილები დავამზა-



დოთ. ფიცარი (29 გვ.) უნდა იყოს სიგრძით 22 სანტ.

რგოლები რომ უფრო ადვილად მიახრახნოთ, ჯერ სადგისით უნდა გახვრიტოთ ადგილები.

ლილვები (3) უნდა იყოს სიგრძით 10 სანტ. და სიმსხოთი ისეთები უნდა იყოს, რომ თავისუფლად იტრიალოს რგოლებში.

ყველაზე უფრო ძნელი გასაკეთებელია გოგრები. უმჯობესია გააკეთოთ გოგრები სქელი მუყაოსაგან, მაგრამ თუ სქელი მუყაო ვერ იშოვოთ, მაშინ თხელი მუყაო სამ ფენად უნდა შეაწებოთ. მუყაოს ფენები რომ მაგრად დაეწებოს ერთმანეთს, მაგრად უნდა დასწუროთ, როგორც ამბობენ, წნეხში უნდა გაატაროთ. წნეხის გაკეთება შეიძლება უბრალოდ მოახერხოთ, შეწებებულ მუყაოს დაადებთ ზემოდან რამდენიმე სქელ დიდ წიგნს. ჩქარა არ უნდა გამოიღოთ, უნდა აცალოთ, რომ წებო გახმეს. უმჯობესია საღამოს შეაწებოთ და დილამდე იყოს წიგნებს ქვეშ

ჩვენ ნახატზე (27 გვ.) ნაჩვენებია გოგორას ზომა ისრებს შუა 6, ეს ნიშნავს, რომ გოგრები დიამეტრით 6 სანტ. უნდა იყოს. თქვენ შეგიძლიათ ეს წრე გადაიტანოთ მუყაოზე, მხოლოდ შუა ადგილი უთუოდ აღნიშნეთ. შუა ადგილს ჰქვია ცენტრი. თუ ცენტრი არ აღნიშნეთ და ლილვი სწორედ ცენტრში

არ გაუყარეთ, ავტომობილი კარგად ვერ ივლის

ნახვრეტი ასე უნდა გააკეთოთ: ჯერ უნდა გახვრიტოთ მუყაო სადგისით სწორედ ცენტრში, შემდეგ ცოტათი გაადიდეთ წამახვილებელი ჩხირით, ისე რომ მჭიდროდ ჩამოეცვას ლილვს და შემდეგ წებოთი კარგად დაწებეთ, რომ არ ინძრეოდეს და მაგრად იჯდეს შიგ. რეზინის ერთი თავი მსხვილი ძაფით მიაკარით ლილვს, მეორე თავს კი ძაფისაგან მარყუჟი გაუკეთეთ და ჩამოაცვით ლურსმანს (7).

ახლა ავტომობილის პლატფორმა მზად არის. ზედ შეგიძლიათ, რა გვარიც ავტომობილი გინდათ, გააკეთოთ ფიცრებისა და მუყაოსაგან. აქ არის დახატული მრავალი სხვადასხვაგვარი ავტომობილი. როდესაც რამდენიმეს გააკეთებთ, შეიძლება მოაწყოთ დოლი.

მოიგებს ის, ვისი ავტომობილიც უკეთესად იქნება გაკეთებული. ის ავტომობილი, რომლის ლილვები მსუბუქად იტ-



რიალებს, გოგრები მჭიდროდ იქნება დამაგრებული, უსათუოდ



გაუსწრებს ყველას და უფრო მეტსაც ირბენს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიკროსკოპი

თუ გინდათ თვითონ გააკეთოთ მიკროსკოპი, ამისათვის უნდა აიღოთ ძაფის კოჭი და ერთი მხრით გააფართოოთ ნასვრეტი ჯიბის დანით ისე, რო-



გორც ნახატზეა ნაჩვენები. შიგნით კოჭი უნდა შეღებოთ შავად ტუშით. შემდეგ გაფართოებულ თავზე უნდა დააკრათ რგვალად გამოჭრილი ქარსი. მეორე მხარეზე უნდა მიაკრათ მუყაო და მუყაოს შუა ადგილას პატარა წრე გახვრიტოთ. მიკროსკოპი მზად არის. ბუზის ფრთა რომ აიღოთ, ოდნავ დაასველოთ, მიაწებოთ გამჭვირვალე მხარეს და მეორე მხრის პატარა ნახვრეტიდან შეხედოთ, ფრთა რამდენჯერმე გადიდებული გეჩვენებათ. უნდა შეხედოთ, როდესაც სრული სინათლე იქნება.

# ცირკული

თუ გინდა ქაღალდისაგან ან მუყაოსაგან წრე გამოსჭრა, ჯერ ეს წრე ფანქრით უნდა დახატო და შემდეგ ხაზზე შემოსჭრა მაკრატლით. მაგრამ როგორ უნდა დახატო სწორი წრე? ხელით



მისი დახატვა ძნელია. წრის დასახატავად საჭიროა განსაკუთრებული ხელსაწყო—ცირკული. ნამდვილი ცირკული ძვირი ღირს, უფრო ადვილია თვითონ გააკეთო. აიღე ხის გათლილი ორი ჩხირი --ერთი მეორეზე უფრო გრძელი, და მიამაგრე ერთმანეთს ზევითა ბოლოებით მავთულით ან ქინძისთავით, გაღუნე მხოლოდ, რომ არ გამოძვრეს, და ისე მიამაგრე, რომ ჩხირები თავისუფლად ინძრეოდეს. გრძელი ჩხირის ბოლოს ქვეიდან მაგრად მიაკარი ქინძისთავი, უფრო მოკლეზე კი მიამაგრე ფართე თეთრი თუთიის რგოლი. ამ რგოლში ჩასვი მოკლე ფანქარი, და ცირკული მზად არის.

მახვილი ბოლოთი დააბჯინე მუყაოზე, მოკლე დაატრიალე, და ფანქარი დახატავს სწორ წრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყვილი-კენტი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 12 | 8 | 7 | 16 | 15 | 27 | 49 |
| 38 | 4 | 11 | 1 | 9 | 24 | 48 | 14 |
| 40 | 57 | 60 | 31 | 54 | 47 | 6 | 13 |
| 23 | 34 | 42 | 55 | 64 | 2 | 18 | 21 |
| 33 | 45 | 52 | 63 | 17 | 26 | 36 | 44 |
| 53 | 62 | 3 | 10 | 25 | 37 | 43 | 58 |
| 22 | 35 | 39 | 28 | 46 | 59 | 56 | 61 |
| 29 | 19 | 20 | 32 | 41 | 50 | 30 | 51 |

ამ თამაშობისათვის საჭიროა დახაზული ოთხკუთხი ფიცარი, როგორც ამ ნახატზეა ნაჩვენები. ფიცარს გარდა საჭიროა ხის პატარა ორი კუბიკი—ციფრების დასაფარავად და ხის 128 ბურთულა ან ლობიოს, სიმინდის ან სხვა რამის მარცვალი. თამაშობს ორი კაცი. მოთამაშე, რომელიც იწყებს, იღებს მარცვალს და სწრაფად აფარებს რომელიმე ციფრს, ისე რომ მეორემ ვერ მოასწროს დანახვა რომელი დაფარა და ეკითხება მეორეს: „წყვილია თუ კენტი?“ თუ მეორე მოთამაშემ ვერ გამოიცნო, იხდის იმდენ მარცვალს, რამდენსაც გამოსახავს დაფარული ციფრი, მაგალითად, თუ დაფარულია ციფრი 38, უნდა გადაიხადოს 38. თუ მოთამაშემ გამოიცნო, უნდა მიიღოს იმდენი, რამდენიც გამოსახულია ციფრით. შემდეგ აფარებს და ეკითხება მეორე მოთამაშე და ამნაირად რიგ-რიგობით ეკითხებიან ერთმანეთს. იგებს ის, ვინც ყველა მარცვალს ჩაიგდებს ხელში. „წყვილი“ ნიშნავს ისეთ რიცხვს, რომლის გაყოფა ორზე შეიძლება. კენტი ნიშნავს ისეთ რიცხვს, რომლის გაყოფა ორზე არ შეიძლება ისე, რომ ერთი არ დარჩეს.

## თვითონ დახატეთ კურდღლები



# მყვინთავი



ამ მყვინთავს აცვია რეზინაგადაკრული ტილოს ტანისამოსი, თავზე სპილენძის მუზარადი ახურავს. ზურგზე ტვირთი აქვს მიკრული, რომ უფრო ადვილად ჩაიყურყუმალოს წყალში, ზურგზე ჰკიდია მჟავბადიანი მოწყობილობა, რომ სუნთქვა შესძლოს წყალქვეშ. ხელში კავი და ლამპა უჭირავს, ქამარზე ბაწარი აქვს მიმაგრებული ნიშნის მისაცემად. ფეხზე ტყვიის ფეხსაცმელი აცვია.



მყვინთავს უშვებენ ზღვაში ლითონის სამოსით. თათმანების მაგივრად სახელოებში რკინის მარჭუხებს უმაგრებენ. ამ ტანისამოსით შეიძლება ძალიან ღრმად ჩაეშვას წყალში მყვინთავი.



მყვინთავები ილუპენ დაძირულ გემს.



მყვინთავი ელექტროიარაღით სჭრის რკინას ზღვის ფსკერზე.

ფ. 30 ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიიღება

## ხელმოწერა 1931 წლის მეორე ნახევრისათვის სახელგამის პერიოდულ გამოცემებზე:

„ოქტომბრელი“ — ყოველთ. 1 ივლ. 1 იანვრ. ექვსი თვით — 1—70 კ.
„პიონერი“ — ორკვირეული — 6 თვით, 1 ივლის. 1 იანვრ. 2—20 „
„კარმირ-წილერ“ „ „ „ 1—70 „
„ენი კუვე“ „ „ „ 1—70 „
„მნათობი“ — წელიწ. 12 ნომერი, 9 წიგნად „ „ 7—00 „
„პროლ. მწერ.“ „ „ „ „ 2—50 „
„პარტ. მშენებლ.“ — ორ დეკად. ერთხელ „ „ 2—50 „
„კომუნისტური რევოლუცია“ — ორკვირეული „ 3—00 „

ჟურნალების თავის დროზე და სისტემატიურად მიღების მიზნით, ხელმომწერთ ვთხოვთ დროულად ჩააბარონ ხელმოწერა პერიოდსექტორს ან მის რწმუნებულს.

ხელმოწერა მიიღება:

ტფილისი: 1) რუსთაველის პრ., № 30, პერიოდსექტორი. 2) სახელგამის ტფილისის და პროვინციის ყველა მაღაზიაში, 3) სათანადო რწმუნებით აღჭურვილ რწმუნებულებთან და 4) ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა